ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6858150

ნომერი: AR11010077

თარიღი : 12.01.2024

გაცემის თარიღი : 26.01.2024

გაცნობის თარიღი : 26.01.2024

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა წულუკიძე , N 15;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზურაბ მალაზონია პ/ნ 01013019820
- თბილისი. ჯავახეთის ქ.10 ბ#19

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 16 სექტემბრის №6125834 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2024 წლის 12 იანვარს №AR11010077 განცხადებით მომართა ზურაბ მალაზონიამ და მოითხოვა სამსახურის 2022 წლის 16

სექტემბრის №6125834 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2022 წლის 16 სექტემბრის №6125834 ბრძანებით შეთანხმდა №01.17.10.012.158 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2023 წლის 03 აპრილის №6398285 ბრძანებით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის (ვიცე-მერის) 2023 წლის 27 თებერვლის №217 ბრძანების აღსრულების ფარგლებში გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2023 წლის 03 აპრილიდან 2025 წლის 03 მარტის ჩათვლით.
სამსახურის 2023 წლის 01 სექტემბრის №6642750 ბრძანებით შევიდა ცვლილება სამსახურის 2023 წლის 03 აპრილის №6398285 ბრძანებაში და გაგრძელდა მშენებლობის ვადა 2025 წლის 16 მარტის ჩათვლით.
წინამდებარე განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2022 წლის 16 სექტემბრის №6125834 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას, კერძოდ, განმარტავს, რომ არქიტექტურულ პროექტში ფიქსირდება რამდენიმე ზედმეტი კოლონა, რომელიც არ არის შეთანხმებულ კონსტრუქციულ პროექტში. აღნიშნულიდან გამომდინარე სურს წარმოდგენილი გეგმების და ჭრილების ჩანაცვლება.
დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ წარმოდგენილი არქიტექტურული გეგმები და ჭრილები კოლონების ნაწილში მოყვანილია შეთანხმებულ კონსტრუქციულ პროექტთან შესაბამისობაში.
შესაბამისად, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნულ ნაწილში ტექნიკური შეცდომის გასწორება. ამასთან წარმოდგენილი გეგმები არ იცვლება, აღნიშნულ გეგმებზე ხდება მხოლოდ კოლონების დაზუსტება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 16 სექტემბრის №6125834 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1.გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 16 სექტემბრის №6125834 ბრძანებაში და აღნიშნული ბრძანებით შეთანხმებული გეგმები და ჭრილები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი გეგმებით და ჭრილებით.
2.ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 16 სექტემბრის №6125834 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 16 სექტემბრის №6125834 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.